დადგენილება № 72/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში „პირბადის ტარების წესის დატკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის № 368 დადგენილებით გათვალისწინებული წესების დაცვის გამკაცრების შესახებ

დადგენილება № 72/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში „პირბადის ტარების წესის დატკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის № 368 დადგენილებით გათვალისწინებული წესების დაცვის გამკაცრების შესახებ

დადგენილება № 72/2020
15 ოქტომბერი, 2020

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №368 დადგენილების, „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული სამუზეუმო, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული ღონისძიებებისთვის ზოგადი რეკომენდაციების“, შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოწოდებული რეკომენდაციებისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 ოქტომბრის № 37 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატრიის შენობაში მყოფი ნებისმიერი პირი პირბადის არქონის ან გამოუყენებლობის შემთხვევაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს შენობა;
2. დაევალოს სსიპ - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ნიკოლოზ ხორბალაძეს:
   ა) შეიმუშაოს „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის № 368 დადგენილების და „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული სამუზეუმო, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული ღონისძიებებისთვის ზოგადი რეკომენდაციებით“ დარღვევის ფაქტებზე რეაგირების დეტალური გეგმა და წარუდგინოს რექტორს;
   ბ) მოახდინოს რეაგირება „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 368-ე დადგენილების დამრღვევთა მიმართ და

წარუდგინოს სათანადო ანგარიში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორს;

გ) გაამკაცროს მეთვალყურეობა კონსერვატორიის ტერიტორიაზე „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 368-ე დადგენილების შესრულებაზე და „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული სამუზეუმო, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული ღონისძიებებისთვის ზოგადი რეკომენდაციებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე;

3. დადგენილება გადაეგზავნოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს;
4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
5. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე